საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030163621090920

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6209 **10 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
პრეზიდენტს, ქალბატონ ნათია ლოლაძეს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დიდ მადლობას მოგახსენებთ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული თანადგომისა და დახმარებისთვის.

სამინისტროსა და წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლობა უკვე წლებს ითვლის, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა მიმდინარე წლის თებერვალში ერთობლივად აღებული საერთაშორისო პასუხისმგებლობით „ვმუშაობთ ერთად, რომ თავიდან ავიცილოთ და საპასუხო ქმედებები განვახორციელოთ პანდემიებსა და ეპიდემიებზე“.

როგორც მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) გავრცელების და ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის კონტროლის მიზნით, ,,საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსანტრანსპორტო საშუალებების მძღოლების (გარდა ტრანზიტისა) ეპიდემიოლოგიური კონტროლი და კარანტინის წესების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (N1-1/208/N01-55/ 6/N127), სამინისტროს ვალდებულებაა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსანტრანსპორტო საშუალებების მძღოლების ტესტირების უზრუნველყოფა. შესაბამისად, საზღვრის გამტარ პუნქტებზე, სამედიცინო პერსონალის მიერ დღის განმავლობაში 600-მდე მძღოლისთვის ხდება საჭირო პროცედურების ჩატარება, რომელთა რაოდენობა შეზღუდვების შემსუბუქების პარალელურად თანდათანობით იზრდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ დახმარება გაგვიწიოთ ახალ კორონავირუსის (SARS-CoV-2) ანტისხეულების და ანტიგენის განსაზღვრისათვის საჭირო სწრაფი ტესტების შეძენაში.

პატივისცემით,